



**საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფისი საქართველოში**  
**ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენი**  
V.V. იმფგეორგია. ცაუცასუს. ნეტ  
მაისი 2000

თვიური ბიულეტენის სპეციალური გამოშვება მოკლედ მიმოიხილავს საზოგადოებრივი ინფორმაციის დოკუმენტს, რომელიც სსფ-მ საქართველოს მთავრობის თხოვნით გამოაქვეყნა IV<sup>1</sup> მუხლის მიხედვით ჩატარებული კონსულტაციების შემდეგ (2000 აპრილს). ასეთი სახის დოკუმენტი გამიზნულია სსფ-ს მიერ წვერ ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის მიმოხილვის გაძლიერებაზე, რომლის საშუალებით იზრდება სსფ-ს მიერ პოლიტიკის შეფასების გამჭვირვალობა.

**ეკონომიკური ვითარების მოკლე მიმოხილვა**

მიუხედავად დადებითი ეკონომიკური ზრდისა ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველო კვლავ სერიოზული ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას. ქვეყნის ფისკალური მდგომარეობა (მნიშვნელოვანი დავალიანებით და დიდი შიდა და საგარეო ვალებით) უპირველესი საზრუნავია. ფისკალურ სტაბილურობას საფუძველი შეურყია კორუფციამ და მმართველობაში არსებულმა პრობლემებმა, რამაც შეამცირა ინვესტიციების და დანაზოგების დონე. ქვეყნის ეკონომიკური აქტივობა პოტენციურზე დაბალია, უმუშევრობის დონე კი მაღალი, რის შედეგად სიღატაკის მაჩვენებლები არ გაუმჯობესებულა ბოლო წლების განმავლობაში.

შიდა და საგარეო მაკროეკონომიკური დისბალანსი რუსეთის კრიზისის ფონზე განვითარდა. ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები გაუარესდა 1998-1999 წლებში და ეკონომიკური ზრდა შემცირდა წლიურ 3%-მდე. ფასები გაიზარდა 10.6%-ით 1998 წელს და 10.9%-ით 1999 წელს ნაწილობრივ 1998 დეკემბერს ასახა რა ლარის დევალვაცია. 2000 წლის აპრილისათვის 12 თვის ინფლაცია თითქმის ნულამდე დავიდა, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი შემცირდა მ.შ.პ-ს 17.5% დან (1998) 14 პროცენტამდე (1999) რაც განპირობებული იყო ნავთობ სადენის მშენებლობასთან დაკავშირებული იმპორტის მოცულობის შემცირებით და 1999 წელს ადრეული ნავთობ სადენის პროექტის დასრულებით რომელიც ახეირბაიჯანს შავ ზღვასთან აკავშირებს. 1999 წლის ბოლოს მთლიანმა საერთაშორისო რეზერვებმა 1.5 თვის იმპორტის დონე, ხოლო საქართველოს სახელმწიფო ვალმა (შიდა და საგარეო) მშპ-ს 75% შეადგინა.

<sup>1</sup> სსფ-ს წესდების IV მუხლის მიხედვით ჩატარებული კონსულტაციის ფარგლებში, სსფ ჩვეულებრივ ყოველწლიურად წვერ ქვეყნებთან მართავს ორმხრივ მოლაპარაკებებს. სსფ-ს მისია ეწვევა ქვეყანას, მოაზროვნებს ეკონომიკურ და ფინანსურ ინფორმაციას და ხელისუფლებასთან ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას და მის შემდგომ განვითარებას განიხილავს. დაბრუნებისას მისია ამზადებს მოხსენებას, რომელიც დირექტორთა საბჭოს განხილვის საფუძველს წარმოადგენს. დისკუსიების ბოლოს, განმკარგულებელი დირექტორი, როგორც საბჭოს თავმჯდომარე, მოკლედ წარადგენს დირექტორთა შეხედულებებს და ეს დასკვნა გადაეცემა წვერ ქვეყნის ხელისუფალთ. ამ ბიულეტენში წარმოდგენილია საბჭოს დისკუსიების მთავარი მომენტები.

1998 წელთან შედარებით 1999 წელს ფისკალური მდგომარეობა უმნიშვნელოდ გამოსწორდა თუმცა იგი არსებითად ჩამორჩებოდა ბიუჯეტით გათვალისწინებულ პარამეტრებს. 1999 წელს ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი დეფიციტი ვალდებულებების მიხედვით მშპ-ს 6.7% შეადგენდა, როდესაც დაგეგმილი მაჩვენებელი 2.8% იყო ხოლო 1998 წელს მშპ-ს 6.5%. შემოსავლების მობილიზაციის დაგეგმილი გაუმჯობესება არ იქნა განხორციელებული, საქართველოს ერთერთი ყველაზე დაბალი გადასახადების ამოღების მაჩვენებელი აქვს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის (მშპ-ს 14%). 1999 წელს მოხდა დავალიანებათა დამატებითი დაგროვება რის შედეგად 1999 წლის ბოლოს ხარჯებში დავალიანებამ მშპ-ს 4.2% შეადგინა. 1999 წლის ბოლოს დავალიანებამ საგარეო ვალდებულების ძირითადი თანხის მომსახურებაზე შეადგინა 113 მილიონი ა.შ.შ. დოლარი.

1999 წელს გარკვეული წინსვლა შეიმჩნეოდა სტრუქტურული რეფორმების გატარების მხრივ. ეროვნული ბანკის მიერ დროულად გატარებულმა ღონისძიებებმა საბანკო სისტემას რუსეთის კრიზისი ადვილად გადაატანინა. მინიმალური საწესდებო კაპიტალის გაზრდას ბანკების შემდგომი კონსოლიდირება მოყვა. ვინაიდან მსხვილი საწარმოების აქციათა უმეტესი წილი კვლავ სახელმწიფოს ხელში არის, მსხვილ საწარმოთა პრივატიზება ზომიერად მიმდინარეობდა. აღსანიშნავია თელასის პრივატიზება 1998 წლის ბოლოს. ენერჯეტიკის სექტორი მძიმე ფინანსურ მდგომარეობაშია და დგას არსებითი სირთულეების წინაშე; ენერჯეტიკის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის დაბალი ღონის გამო ხშირია შეფერხებები ელექტრო ენერჯით მომარაგებაში. მიუხედავად იმისა პროგრესი აღინიშნებოდა მიწის პრივატიზებასა და სასამართლო რეფორმაში, მნიშვნელოვანი ზომებია მისაღები მმართველობის გასაუმჯობესებლად და კორუფციასთან საბრძოლველად.

### **აღმასრულებელი საბჭოს შეფასება**

აღმასრულებელმა საბჭომ აღნიშნა რომ სტრუქტურულ რეფორმასა და მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაში მიღწეული პროგრესის მიუხედავად ქვეყანაში რეფორმის გატარება შენეულა, ეკონომიკურმა ზრდამ იკლო და 1997 წლიდან მოყოლებული ღრმად ფესვ გადგმულ ფისკალურ პრობლემებს სათანადო ყურადღება არ დაეთმო. მართალია საგარეო პირობები რთული იყო, მაგრამ ამ პრობლემების მთავარი წყარო პოლიტიკიდან გადახრა გახლდათ. დირექტორებმა აღნიშნეს სუსტი მმართველობის და ფართოდ გავრცელებული კორუფციის სასწრაფო მოგვარების საჭიროება, ვინაიდან საგარეო და შიდა დიდი დისბალანსის გამო ქვეყანის მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია საშიშროების წინაშეა.

აღმასრულებელმა საბჭომ ყურადღება გაამახვილა ფისკალური პოლიტიკის გაძლიერებაზე რომელსაც ქვეყნის ეკონომიკისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. არსებული დიდი ფისკალური დეფიციტი არა მარტო ეკონომიკურ ზრდას აფერხებს არამედ კოორდინირებული და შეთანხმებული გარდაქმნების პროგრამის არსებობის გარეშე ხელს უწყობს ვალის ზრდას, რომელსაც უარყოფითი გავლენა აქვს ინფლაციასა და გაცვლით კურსზე. დირექტორებმა წუხილით აღნიშნეს რომ ვალის მომსახურებამ უკვე ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების ერთი-მესამედი შეადგინეს. საბჭომ აგრეთვე აღნიშნა რომ მთავრობის არასაკმარისმა ყურადღებამ შემოსავლების და ხარჯების პოლიტიკის სამართლიანობის მიმართ გავლენა იქონია ეკონომიკური რეფორმების თანამიმდევრობაზე.

ასეთ ფონზე აღმასრულებელმა საბჭომ წუხილით აღნიშნა რომ 2000 წლის ბიუჯეტი ვერ პასუხობს საჭირო ფისკალურ გარდაქმნას, კერძოდ სათანადო საგადასახადო ადმინისტრაციის და შემოსავალთა გაზრდაზე მიმართული ღონისძიებები არ იქნა გატარებული. ზოგიერთმა დირექტორმა უკმაყოფილება გამოთქვა ნავთობ პროდუქტებზე საგადასახადო განაკვეთების შემცირების თაობაზე, რამაც შეამცირა შ -ის პროგრამის ფარგლებში საწვავისგან სააქციზის შემოსავლები.

ვინაიდან საქართველო ერთერთი ყველაზე დაბალი მანვენებით ხასიათდება გადასახადების მოკრებაში მშპ-სთან მიმართებაში, დირექტორებმა აღნიშნეს შემოსავლების მობილიზებაში არსებული პრობლემების მოგვარების სასწრაფო საჭიროება. ვინაიდან შემოსავალზე, საქონელზე და მომსახურებაზე არსებული განაკვეთები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს ყურადღება უნდა მიექცეს საგადასახადო ადმინისტრაციის და გადასახადების ამოღების სრულყოფას.

საბჭომ აღნიშნა რომ შემოსავლების ქრონიკული ნაკლებობის და აქედან გამომდინარე შეზღუდულად დაფინანსებული ხარჯების გამო ხდება ხარჯებში დავალიანების შემდგომი დაგროვება. მათ მხარი დაუჭირეს ხარჯების მაკონტროლებელი სისტემის შემოღებას და ხაზი გაუსვეს რომ სილატაკესთან ბრძოლის პოლიტიკის მთავარი ელემენტები არის ხელფასების, პენსიების და სოციალურ ხარჯების მიხედვით არსებული დავალიანების დაფარვა და მიმდინარე ხარჯების დროული დაფინანსება. ამის მისაღწევად საბჭოს რეკომენდაცია, რომ იყო საქართველოს მთავრობას ჩაეტარებინა სახელმწიფო ხარჯების დეტალური განხილვა მათი რაციონალიზაციის, ეფექტურობის და გაუმჯობესებული დაფინანსების თვალსაზრისით.

საბჭომ აგრეთვე აღნიშნა გააზრებული ფულად საკრედიტო პოლიტიკის მნიშვნელობა რომელიც ფასების და გაცვლითი კურსის სტაბილურობის პირობა იქნება. მცურავი კურსის პოლიტიკამ, რომლითაც საქართველო ხელმძღვანელობდა, გამოიღო დადებითი შედეგი და კვლავაც რჩება სასურველ რეჟიმად მთლიანი საერთაშორისო რეზერვების მცირე რაოდენობისა და სავაჭრო საქონელის არასაიმედო კონკურენტუნარიანობის გამო. დირექტორები მხარს უჭერენ საბანკო ზედამხედველობის და ნორმატიული აქტების გაძლიერებას, მათ შორის მინიმალური საწესდებო კაპიტალის გაზრდას. მათ აღნიშნეს საბანკო სისტემის რეფორმის გაგრძელების აუცილებლობა.

საბჭომ აგრეთვე ხაზი გაუსვა სტრუქტურული რეფორმების გაგრძელების საჭიროებას. დიდი მნიშვნელობა მიენიჭა მსხვილ საწარმოთა პრივატიზებას, მათ შორის ტელეკომუნიკაციის და ენერჯეტიკის სფეროში ინფრასტრუქტურის პრივატიზებას და იურიდიული და მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გადასინჯვას.

საბჭომ აღნიშნა რომ კორუფციის დასაძლევად და მმართველობის სრულყოფისათვის საჭიროა თამამი სტრატეგია, რომელიც პროგრამის დასაწყისშივე გატარდება. ასეთი სტრატეგია არა მხოლოდ გააუმჯობესებს შემოსავლების მობილიზებას და ხარჯების დაფინანსებას არამედ მოიზიდავს ეკონომიკის რესტრუქტურისათვის საჭირო გრძელვადიან კაპიტალს და ხელს შეუწყობს მაღალ ეკონომიკურ ზრდას. ბევრია გასაკეთებელი საბაზრო ეკონომიკის

ინსტიტუციონალური და სამართლებრივი ბაზის განვითარების, მმართველობის და კანონის აღსრულებისათვის. დირექტორებმა ხელისუფლებას მოუწოდეს გამოეყენებინათ თავიანთი ძლიერი პოლიტიკური მანდატი რეფორმების დაეხმარებლად.

საბჭომ მოიწონა მთავრობის ძალისხმევა ძირითადი მაკროეკონომიკური სტატისტიკის გაუმჯობესებისაკენ, მათ შორის ეროვნულ ანგარიშთა განახლება. ამავე დროს მოუწოდეს მთავრობას გაეუმჯობესებინათ საგადაამხდლო ბალანსის და ეროვნული ანგარიშების შედგენა და მიმოხილვა.

საბჭომ აღნიშნა რომ საქართველოს საგარეო მდგომარეობა კვლავ მძიმეა და აუცილებელია ძირეული გარდაქმნების, სტრუქტურული რეფორმების პროგრამის და საერთაშორისო საფინანსო მხარდაჭერის კომბინირება ამ დიდი საგარეო საფინანსო გარღვევების აღმოსაფხვრელად. ასეთი პროგრამის არსებობის შემთხვევაში დირექტორები მხარს დაუჭერენ საქართველოს მოთხოვნას ორმხრივი კრედიტორების მიმართ ვალის შემდგომი რესტრუქტურების შესახებ და მოუწოდებენ თურქმენეთს მიიღოს მონაწილეობა ასეთი ხელშეკრულების მოლაპარაკებაში. საბჭო მზად არის დაეხმაროს ხელისუფლებას შესაფერისი ეკონომიკური პროგრამის შემუშავებაში, რომელსაც მხარს დაუჭერს საერთაშორისო საზოგადოება. მათ ხაზი გაუსვეს რომ ასეთი პროგრამა უნდა მოიცავდეს ფისკალური გარდაქმნის, ანტი კორუფციულ და მმართველობის სრულყოფის ძლიერ ღონისძიებებს. ვინაიდან ბოლო პერიოდში ფისკალური პოლიტიკის გატარებაში სერიოზული გადახრები შეინიშნებოდა, გამოიკვეთა იმის აუცილებლობა რომ საქართველოში ჩამოყალიბდეს შემოსავლის მობილიზაციის, ხარჯების მართვის და მმართველობის საკითხებში მიღწეული დადებითი შედეგების თანამიმდევრობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რომლის შედეგად შესაძლებელი გახდება სსფ-ს ფინანსური მხარდაჭერის განახლება.

**საქართველო: სხვადასხვა ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლები 1996-1999.**

	1996 ფაქტიური	1997 ფაქტიური	1998 ფაქტიური	1999 ფაქტიური
(პროცენტული ცვლილება)				
<b>1. კრონული შემოსავალი და ფასები</b>				
მშპ მუდმივ ფასებში	10.5	10.8	2.9	3.0
სამომხმარებლო ფასთა ინდექსი, პერიოდის ბოლო	13.7	7.3	10.6	10.9
<b>2. ფული, კრედიტები და საპროცენტო განაკვეთები (პერიოდის ბოლო)</b>				
სარეზერვო ფულის მასა	36	33	-6	15
კრედიტი საბანკო სისტემიდან საწარმოებზე და ფიზიკურ პირებზე 1/	-15	38	38	38
ფართე ფულის მასა (დეპოზიტების ჩათვ. უცხოურ ვალუტაში)	42	46		21
ფულის მიმოქცევის სისწრაფე 2/	14.7	12.1	-1	12.6
ფულის მულტიპლიკატორი, დონე	1.23	1.35	13.0	1.44
			142	
(მშპ-ს პროცენტში)				
<b>3. კონსოლიდირებული ბიუჯეტი</b>				
შემოსავლები გრანტის ჩათვლით	12.2	14.5	15.4	14.7
საგადასახადი შემოსავლები 3/	10.9	13.0	13.4	14.0
საგადასახადი შემოსავლები მიმდინარე ხარჯებთან მიმართებაში	55.6	65.9	64.5	67.9
ხარჯები და წმინდა სესხები 4/	21.5	21.8	22.9	22.4
ფისკალური ბალანსი, ვალდებულებათა მიხედვით	-7.4	-7.0	-6.5	-6.7
ფისკალური ბალანსი, საკასო მეთოდით	-7.2	-6.3	-5.1	-4.9
<b>4. საგარეო სექტორი</b>				
სავაჭრო ბალანსი	-11.6	-16.1	-20.0	-18.9
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი				
სახელმწიფო ტრანსფერების გარეშე	-13.8	-16.5	-17.5	-14.1
სახელმწიფო ტრანსფერების ჩათვლით	-9.2	-10.8	-11.3	-7.9
ვალის მომსახურება (ექსპორტირებულ საქონელთან და მომსახურებასთან მიმართებაში)	9.2	6.0	17.0	21.9
საგარეო ვალი (პერიოდის ბოლო)	44.9		47.9	62.7
		43.6		
<b>5. მილიანი საერთაშორისო რეზერვები</b>				
თვეების იმპორტის რაოდენობით	2.5	2.0	1.2	...
ა.შ.შ. მილიონ დოლარში	158	173	118	129
გაცვლითი კურსი, ლარი/აშშ დოლარი (პერიოდის ბოლო)	1.27	1.30	1.79	1.96

წყარო: საქართველოს მთავრობა და სსფ-ს შეფასებები.

1/ 1996 წელს შემცირება გამოწვეულია კომერციული ბანკების მიერ საეჭვო სესხებისათვის რეზერვების შექმნით ბანკების რესტრუქტურისაციის კონტექსტში. ამის გათვალისწინებით, საწარმოებსა და ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნომინალური რაოდენობა გაიზარდა 30% 1996 წელს.

2/ წლიური მშპ გაყოფილი პერიოდის ბოლოს დაფიქსირებულ 3

3/ ცენტრალური ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლის და სახელმწიფო ფონდების (საპენსიო, დასაქმების და საგზაო). პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები არ არის ჩათვლილი.

4/ ვალდებულებათა მიხედვით ნაღდ ფულში გაწეული ხარჯები განსხვავდებიან ხარჯებში დავალიანების ცვლილებით.